სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში

ს. კაჭრეთი, 2021 წელი

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა 3

1. შესავალი 5

2. კვლევის დიზაინი 5

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები 5

2.2 კვლევის მეთოდოლოგია 6

2.3 კვლევის ინსტრუმენტი 7

2.4 შერჩევის ბაზა 7

3. კვლევის შედეგები 8

3.1 პროფესიული პროგრამების და სწავლის პროცესის შეფასება 8

3.2 კოლეჯის მასწავლებლების შეფასება 9

3.3 კოლეჯის ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება 10

3.4 პროფესიული პრაქტიკული სამუშაოების შეფასება 11

3.5 კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება 12

დასკვნა 12

რეკომენდაციები 12

მოკლე მიმოხილვა

კვლევის ძირითადი მიზნები და მეთოდოლოგია

„სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტების კმაყოფილების კვლევა ჩატარდა ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ 2021 წლის დეკემბერში. მასში მონაწილეობა მიიღეს სსიპ კოლეჯის „აისი“ ოთხივე ლოკაციის სტუდენტებმა. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ კოლეჯი „აისის“ სტუდენტების კმაყოფილების შესწავლა.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის, კერძოდ თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით. კვლევის ფარგლებში თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ შეავსო სულ 618-მა სტუდენტმა.

ძირითადი მიგნებები

პროფესიული პროგრამები და სწავლის პროცესი

- სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტები კმაყოფილები არიან მათ სასწავლებელში არსებული პროგრამებითა და, ზოგადად, სწავლის პროცესით. გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი სასწავლო **პროგრამის შინაარსი** სრულყოფილია (96%).

- სტუდენტების დიდი ნაწილი პოზიტიურად აფასებს **სასწავლო მასალების** ხელმისაწვდომობას და მრავალფეროვნებას. რესპონდენტების უმრავლესობისთვის სასწავლო მასალა მათთვის გასაგებ ენაზე ხელმისაწვდომია (96%).

- სტუდენტების უმრავლესობა მიიჩნევს იმაზე, რომ სსიპ კოლეჯში „აისი“ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით (95%) და ინტერნეტით (92%).

- **მასტერკლასები** ის აქტივობაა, რომელთა ინტენსივობის გაზრდაც სასურველად განიხილება.

სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლები

- სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლები პოზიტიურ შეფასებებს იმსახურებენ. რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ მასწავლებლებს აქვთ მაღალი დონის როგორც პროფესიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილება (95%). უმაღლესი ქულებით ფასდება მასწავლებლების სტუდენტებთან კომუნიკაციის უნარი და კეთილგანწყობის მაჩვენებელი (97%).

სსიპ კოლეჯის „აისი“ ადმინისტრაცია

- ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასებებში ყველაზე მაღალი ქულებით ფასდება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კეთილგანწყობა. ასევე სტუდენტების მხრიდან პოზიტიურად ფასდება ადმინისტრაციული პერსონალის პრობლემებზე სწრაფი რეაგირება.

- სტუდენტების უმრავლესობის აზრით, სასწავლო პროცესი კარგად ორგანიზებულია. ისინი თვლიან რომ შეფასებებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების თარიღები დროულად არის ცნობილი (92%) და ადმინისტრაციული პერსონალთან კომუნიკაცია მარტივია (89%).

- **სტუდენტური ღონისძიებები** ის ფაქტორია, რომელთა ინტენსივობის გაზრდა სასურველად განიხილება (17%).

სასწავლო პრაქტიკა

- სტუდენტები აფიქსირებენ კმაყოფილებას კოლეჯში არსებული პრაქტიკული მეცადინეობებით. სტუდენტები ყველაზე მეტად კმაყოფილნი არიან პრაქტიკული მეცადინეობებისთვის საჭირო აღჭურვილობით და საჭირო იარაღების ხელმისაწვდომობით, სასწავლო პრაქტიკის ლაბორატორიებით (97%).

სსიპ კოლეჯის „აისი“ ინფრასტრუქტურა

- სტუდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი კმაყოფილებას გამოთქვამს კოლეჯის ინფრაქსტრუქტურით. კოლეჯის აუდიტორიებით, კოლეჯის ლაბორატორიებით და შენობის კეთილმოწყობით კმაყოფილი სტუდენტების წილი საკმაოდ მაღალია. სხვა პარამეტრებთან შედარებით, კმაყოფილების უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს კონდიცირების სისტემას (91%).

პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულებები

- კვლევის მონაცემებით, პროფესიული განათლება მომავალი დასაქმების კუთხით საკმაოდ პერსპექტიულად არის აღქმული და გამოკითხულთა დიდი ნაწილი თვლის, რომ კოლეჯის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულებს სპეციალობით დასაქმების მაღალი შანსები აქვთ (94%).

- კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ სტუდენტები კმაყოფილნი არიან როგორც კოლეჯით „აისი“ (98%), ასევე იმ პროფესიით, რომელსაც ეუფლება (96%).

სასურველი ცვლილებები

- კვლევის მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა ინტერესს იჩენს ისეთი დამატებითი აქტივობების მიმართ, როგორიცაა მასტერკლასები, წარმატებულ კურსდამთვრებულებთან შეხვედრები, დამსაქმებლებთან შეხვედრები, ინტელექტუალური აქტივობები, შემეცნებითი ღონისძიებები და მათი ინტენსივობის გაზრდას მიიჩნევს სასურველად. შემეცნებითთან ერთად, სტუდენტებისთვის სასურველია გასართობი ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების და სხვადასხვა სპორტული აქტივობების ორგანიზება. ასევე სასურველ ცვლილებებს შორის დასახელდა გაცვლითი პროგრამების არსებობა.

1. შესავალი

„პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა“ ჩატარდა 2021 წლის დეკემბერში. მასში მონაწილეობა მიიღეს სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტებმა. რაოდენობრივი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სსიპ კოლეჯით „აისი“ სტუდენტების კმაყოფილების შესწავლა. კვლევის განხორციელება მოხდა სსიპ კოლეჯის „აისი“ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.

ანგარიშში წარმოდგენილია მოპოვებული მონაცემების ჯამური სურათი.

2. კვლევის დიზაინი

2.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სტუდენტების კმაყოფილების შესწავლა სსიპ კოლეჯში „აისი“. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- პროფესიული პროგრამებით კმაყოფილების შესწავლა;
- სასწავლო პროცესით კმაყოფილების შესწავლა;
- სასწავლო მასალებით კმაყოფილების შესწავლა;
- კოლეჯის მასწავლებლებით კმაყოფილების შესწავლა;
- კოლეჯის ადმინისტრაციით კმაყოფილების შესწავლა;
- პროფესიული პრაქტიკული სამუშაოებით კმაყოფილების შესწავლა;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურით კმაყოფილების შესწავლა;

2.2 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესწავლისათვის რაოდენობრივი მეთოდის შერჩევა განპირობებული იყო საკვლევი საკითხების შესახებ სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოგროვების საჭიროებით. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი არის მონაცემთა შეგროვების მეცნიერული პროცედურების ნაკრები, რომელიც უზრუნველყოფს საკვლევი აუდიტორიის შესახებ განზოგადებადი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტები.

კვლევა ჩატარდა თვითადმინისტრირებადი ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით.

სტუდენტები დამოუკიდებლად ავსებდნენ კითხვარებს, ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ. ინტერვიუს შევსების დაწყებამდე ჯგუფის ზედამხედველი აცნობდა სტუდენტებს კვლევის მიზნებს და კითხვარის შევსების ინსტრუქციას. სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება შეკითხვებით მიემართათ ჯგუფის ზედამხედველისთვის ინტერვიუს შევსების პროცესში.

კვლევის ფარგლებში თვითადმინისტრირებადი კითხვარი შეავსო სულ 618-მა სტუდენტმა.

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა.

ცხრილი #1

კვლევის მეთოდოლოგია	
მეთოდი	რაოდენობრივი კვლევა
ტექნიკა	თვითადმინისტრირებადი ინტერვიუ
სამიზნე ჯგუფი	სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტები
შერჩევის ზომა	618 რესპონდენტი
კვლევის არეალი	სსიპ კოლეჯის „აისი“ ყველა ლოკაცია
ინტერვიუს ხანგრძლივობა	20-25 წუთი

2.3 კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის მიზნების შესაბამისად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი. კითხვარი შედგებოდა რამდენიმე თემატური მოდულისაგან:

- გამოკითხული რესპონდენტის დემოგრაფიული მახასიათებლები (სასწავლო დაწესებულების დასახელება, სასწავლო დაწესებულების ადგილმდებარეობა და სასწავლო პროგრამის დასახელება);
- პროფესიული პროგრამები - პროფესიული პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასება;
- სასწავლო მასალები - კოლეჯის სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის შეფასება;
- მასწავლებლები - კოლეჯის მასწავლებლების შეფასება;
- ადმინისტრაცია - კოლეჯის ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება;
- პრაქტიკული სამუშაოები - კოლეჯის მიერ წარმოებული პრაქტიკული სწავლების შეფასება;
- ინფრასტრუქტურა - კოლეჯის ინფრასტრუქტურის შეფასება;

2.4 შერჩევის ბაზა

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე სამიზნე სეგმენტად განისაზღვრა სსიპ კოლეჯის „აისი“ მოქმედი სტუდენტები.

კვლევის პერიოდისთვის სულ წამოდგენილია 23 სპეციალობის ჯგუფი, რომლებიც გადანაწილებულია სსიპ კოლეჯის „აისი“ ყველა ლოკაციაზე. ჯამურად გამოიკითხა 618 სტუდენტი. შერჩევის ბაზაში წარმოდგენილია შემდეგი პროფესიის სტუდენტები:

- საოფისე საქმე;
- ბუღალტრული აღრიცხვა;
- იატაკისა და ფილის სამუშაოები;
- თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი;
- მევენახეობა-მეღვინეობა;
- ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება;
- ხის მხატვრული დამუშავება;
- თმისა და სილამაზის მომსახურება;
- მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება;
- ვეტერინარია;
- ინფორმაციული ტექნოლოგია;

- ელექტროობა;
- მომინანქრება;
- მხატვრული ქსოვილები;
- კერამიკული ნაკეთობის დამზადება;
- თექის დამზადება;
- ქვის სამუშაოების წარმოება;
- შედუღება;
- სატყეო საქმე;
- კულინარიის ხელოვნება;
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
- მეფუტკრეობა;
- მებაღეობა.

3. კვლევის შედეგები

3.1 პროფესიული პროგრამების და სწავლის პროცესის შეფასება

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო სტუდენტების დამოკიდებულებები სსიპ კოლეჯში „აისი“ არსებული სასწავლო პროგრამებისა და სწავლის პროცესის მიმართ.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტები კმაყოფილები არიან კოლეჯში არსებული პროგრამებითა და ზოგადად, სწავლის პროცესით.

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი სასწავლო **პროგრამის შინაარსი** სრულყოფილია (96%).

სტუდენტების დიდი ნაწილი პოზიტიურად აფასებს **სასწავლო მასალების** ხელმისაწვდომობას და მრავალფეროვნებას. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების უმრავლესობისთვის სასწავლო მასალა საკმარისია მოდულის სწავლებისათვის და მათთვის ხელმისაწვდომია (96%).

სტუდენტების უმრავლესობა თავიანთი ცოდნის შეფასებას სამართლიანად მიიჩნევს (93%). *(იხ. გრაფიკი #1)*

გრაფიკი #1. პროფესიული პროგრამების და სწავლის პროცესის შეფასება (N=618)



შენიშვნა: გრაფიკზე მითითებულია პასუხი „ვეთანხმები“ , სადაც დაჯამებულია ქულათა შეფასება 8-დან 10-ის ჩათვლით.

3.2 სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლების შეფასება

კვლევის ფარგლებში სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტებმა სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით შეაფასეს მათი მასწავლებლები.

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ სტუდენტები სსიპ კოლეჯის „აისი“ მასწავლებლებს სხვადასხვა კრიტერიუმებში უმაღლეს შეფასებებს უწერენ. რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ მასწავლებელთა რესურსი კვალიფიციურია (95%). აღსანიშნავია,

რომ უმაღლესი ქულებით ფასდება მასწავლებლების სტუდენტებთან კომუნიკაციის უნარი და კეთილგანწყობის მაჩვენებელი (96%). *(იხ. გრაფიკი #2)*

გრაფიკი #2. კოლეჯის მასწავლებლების შეფასება (N=618)



შენიშვნა: გრაფიკზე მითითებულია პასუხი „ვეთანხმები“ , სადაც დაჯამებულია ქულათა შეფასება 8-დან 10-ის ჩათვლით.

3.3 სსიპ კოლეჯის „აისი“ ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასება

კვლევის ფარგლებში სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტებმა შეაფასეს კოლეჯის ადმინისტრაციის საქმიანობა სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით.

კვლევის მონაცემებით, ადმინისტრაციის საქმიანობის შეფასებებში ყველაზე მაღალი ქულებით ფასდება ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაცია - სტუდენტების 98% მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები კეთილგანწყობილნი არიან მათ მიმართ. კარგი ქულით ფასდება ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პრობლემებზე სწრაფად რეაგირების მაჩვენებელი. კვლევის მონაცემებით, სტუდენტების 91% ფიქრობს, რომ ადმინისტრაციული პერსონალი სწრაფად რეაგირებს მათ მოთხოვნებზე და სწრაფად აგვარებს მათ პრობლემებს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამისა და სწავლის პროცესის სხვადასხვა მახასიათებლებიდან, შედარებით ნაკლებ კმაყოფილებას იწვევს **სტუდენტური ღონისძიებების ინტენსივობა** - როგორც ირკვევა, სტუდენტების 17% მიიჩნევს, რომ წლის მანძილზე არ ხდება საკმარისი რაოდენობის სტუდენტური ღონისძიებების ჩატარება. *(იხ.გრაფიკი #3)*

გრაფიკი #3. კოლეჯის ადმინისტრაციის შეფასება (N=618)



შენიშვნა: გრაფიკზე მითითებულია პასუხი „ვეთანხმები“ , სადაც დაჯამებულია ქულათა შეფასება 8-დან 10-ის ჩათვლით.

3.4 სასწავლო პრაქტიკის შეფასება

კვლევის ერთ-ერთ საკვლევ საკითხს წარმოადგენდა სასწავლო პრაქტიკის სამუშაოების შეფასება. კვლევის მონაცემებით, სტუდენტების 97% აღნიშნავს, რომ კოლეჯში წარმატებით მიმდინარეობს პრაქტიკული მეცადინეობების ორგანიზება. *(იხ. გრაფიკი #4)*

გრაფიკი #4 სასწავლო პრაქტიკის შეფასება (N=618)



შენიშვნა: გრაფიკზე მითითებულია პასუხი „ვეთანხმები“ , სადაც დაჯამებულია ქულათა შეფასება 8-დან 10-ის ჩათვლით.

3.5 სსიპ კოლეჯის „აისი“ ინფრასტრუქტურის შეფასება

კვლევის ფარგლებში სსიპ კოლეჯის „აისი“ სტუდენტებმა შეაფასეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში, სტუდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი კმაყოფილებას გამოთქვამს კოლეჯის ინფრასტრუქტურით. როგორც ირკვევა, სტუდენტების ყველაზე დიდი ნაწილის კმაყოფილებას **კოლეჯის აუდიტორიები** იწვევს. კვლევის მონაცემებით, სტუდენტების უდიდესი ნაწილი კმაყოფილია აუდიტორიებში კედლების, კარ-ფანჯრების და იატაკის მდგომარეობით (98%), ელექტროქსელის გამართული მუშაობით (96%) და სანიტარული მდგომარეობით (96%).

სხვა პარამეტრებთან შედარებით, კმაყოფილების უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს კოლეჯში კონდიცირების მაჩვენებელს (91%). *(იხ. გრაფიკი #5)*

გრაფიკი #5. კოლეჯის ინფრასტრუქტურით კმაყოფილება (N=618)



შენიშვნა: გრაფიკზე მითითებულია პასუხი „ვეთანხმები“ , სადაც დაჯამებულია ქულათა შეფასება 8-დან 10-ის ჩათვლით.

დასკვნა

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ სტუდენტები კმაყოფილნი არიან კოლეჯით „აისი“, ასევე სასწავლო პროცესით, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალით, კოლეჯის ინფრასტრუქტურით. თუმცა, როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, სტუდენტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად დასახელებულ პრობლემას წარმოადგენს სტუდენტური ღონისძიებების ნაკლებობა კონფერენციები, ოლიმპიადები, პრეზენტაციები, სემინარები, დებატები, ინტელექტუალური აქტივობები, შემეცნებითი ღონისძიებები და ა.შ. შემეცნებითთან ერთად, სტუდენტების ინტერესის სფეროს ასევე წარმოადგენს გასართობი და სპორტული ღონისძიებები. ასევე გამოიკვეთა სტუდენტთა დაინტერესება მასტერკლასების მეტი ინტენსივობით.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია და გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული დაავადების (COVID-19) გამო არსებულმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ და დაწესებული პრევენციული ზომების დაცვამ,

გარკვეულწილად იმოქმედა კოლეჯში სტუდენტური ღონისძიებების და მსგავსი აქტივობების განხორციელებაზე.

სამომავლოდ შესაბამისი სამსახურების მიერ სტუდენტების მიერ აღნიშნული აქტივობების გაზრდის გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს გაიზარდოს სტუდენტთა კმაყოფილება და ხელი შეეწყოს სტუდენტთა სერვისების განვითარებას.

რეკომენდაციები

1. გაიზარდოს სტუდენტური ღონისძიებების (შემეცნებითი, გასართობი და სპორტული ღონისძიებები) ინტენსივობა და სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერას კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს.
2. დაიგეგმოს და განხორციელდეს მასტერკლასები მეტი ინტენსივობით ყველა დარგის მიმართულებით.
3. ამავდროულად, დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული დაავადების (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შესაბამისი ზომების დაცვა.